პროლეტარელნო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეგობრელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 80-ე წელი

ოთხშაბათი, 10 აგვისტო, 1949 წ. № 158 (8461). ფასი 20 კაპ.

მჭიდროდ დავიცვათ ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმი

ჩვენი ჩაის მძლავრი მრეწველობა ყოველწლიურად მეტ და მეტ ძალაზარისხოვან პროდუქციას აწვდის საბჭოთა კავშირის მშრომელებს. ჩაის მრეწველობის მუშაკები აქტიურად მონაწილეობენ საყოველთაო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძვიან იმისათვის, რომ მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შესრულონ. გეგმის რაოდენობრივ შესრულებასთან ერთად ყურადღება ექცევა ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას. მოწინავე საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან ჩაქვის, სალიბაურის, გალის ჩაის ფაბრიკები.

ამასთანავე ჯერ კიდევ ვხედებით სერიოზულ ნაკლოვანებებს ჩაის ფაბრიკების მუშაობაში. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საქართველოს ჩაის ტრესტის ზოგიერთ ფაბრიკაში ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავების წესების დარღვევის შესახებ“, რომელიც ჩვენი გაზეთის 9 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა, მოცემულია კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

რა ნაკლოვანებებია ეს?

მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის ფაბრიკაში შემთხვევა იყო, რომ მეორე ხარისხის ჩაის ფოთოლი პირველხარისხად მიიღეს. დამზადებული ჩაის ფოთოლი ცალკეული პუნქტებიდან რამდენიმე დღის დაგვიანებით გადააქვთ, რაც იწვევს ფოთლის ხარისხის გაუარესებას. ლაითურის ჩაის ფაბრიკაში გადაამუშავეს ირასაკმაოდ დამჭკნარი ფოთოლი. ქობულეთის ჩაის ფაბრიკაში არ არის დაცული საწარმოო სანიტარიის ელემენტარული წესები — ფაბრიკაში მიტანილ ფოთოლს ფანტავენ მიმღები პუნქტისა და საჭკნობი საამქროს მოედნებზე, ტკეპნიან და აფუმფულებენ.

ჩაის ფოთლის დამზადების წესებისა და გადამუშავების ტექნოლოგიური ნორმების დარღვევის შედეგად ლაითურის ჩაის ფაბრიკამ გამოუშვა 78,5 ტონა შედარებით დაბალი ხარისხის ნახევარფაბრიკატი ანუ მთელი გამომუშავების 30 პროცენტი და ნასაკირალის ჩაის ფაბრიკამ—37,3 ტონა ანუ 14,7 პროცენტი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ლაითურის ჩაის ფაბრიკის დირექტორს ამხ. ა. ჩხიკვაძეს ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური ნორმების დარღვევისათვის გამოუცხადა საყვედური, ბათუმის ჩაის ფაბრიკის დირექტორი ამხ. ბუაძე, ქობულეთისა — ამხ. ცივაძე და ნასაკირალისა—ამხ. სოკოლაძე გაფრთხილებულ იქნენ, რომ თუ მათ შემდეგში დაუშვეს ფოთლის მიღებისა და გადამუშავების წესების დარღვევა, ისინი სასტიკად დასჯიდნან.

ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებიდან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ ჩაის მრეწველობის მუშაკებმა. საჭიროა ეს დადგენილება საფუძვლიანად გავაცნონ ჩაის ფაბრიკების მუშებსა და ტექნოლოგებს, დავსახოთ ღონისძიებანი მისი განხორციელებისათვის.

უწინარეს ყოვლისა აუცილებელია, რომ ჩაის ფოთლის მიღება ხდებოდეს დადგენილი წესის მიხედვით. არ შეიძლება შევიწყნაროთ სხვადასხვა ხარისხის ფოთლის ერთმანეთში არევა ანდა პირველადი დოკუმენტაციის გაფორმების წესების ოდნავი დარღვევაც კი.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოკრეფილი ფოთლის იმავე დღესვე მიტანას ჩაის ფაბრიკებში. მაშასადამე, ფაბრიკებში ჩაის ფოთოლი გადატანილ უნდა იქნას იმავე დღესვე.

ჩაის ფაბრიკების დირექტორები და ტექნოლოგები მოვალენი არიან მტკიცედ დაიცვან ჩაის ფოთლის გადამუშავების დადგენილი ტექნოლოგიური წესები.

საჭიროა გადამჭრელი ზომები მიეღოთ ჩაის ფაბრიკებში სისუფთავის დასაცავად. ჯერ კიდევ 1935 წლის 31 მაისს ამხანაგი ლ. ბერია ამბობდა: „ჩაის ფაბრიკა, ჩემი აზრით, უნდა მოგვაგონებდეს კარგი ქირურგის კარგ საოპერაციო დარბაზს, რომელშიც ბნელად შეამჩნევ რაიმე მტვერს“. ჩაის ფაბრიკების ტექნოლოგების, მუშებისა და მთელი კოლექტივის ღირსების საქმეა საიმედო სისუფთავის დაცვა.

ჩვენი დიადი ქვეყნის გმირი მუშათა კლასი ენერგიას არ იშურებს ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ჩუტკიხის ინიციატივით გამოავლენ პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის მებრძოლთა რიგები; დიდი მუშობა წარმოებს მასალების, ნედლეულის, საწვავისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, სანიმუშო სისუფთავისა და წესრიგის დამყარებისათვის, მთელი მოწყობილობის, თვითეული დაზგის სრულად და უკეთესად გამოყენებისათვის. ჩაის მრეწველობის პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, პრაქტიკულად იბრძოლონ წარმოების მაღალი კულტურისათვის, ყოველდღიურად, ბოლშევიკურად უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას.

ჩაის მრეწველობის პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების ამოცანაა დანერგონ სრულქმნილი ტექნოლოგია, შრომის მოწინავე მეთოდები, დაეხმარონ ახალგაზრდა მუშებსა და ტექნოლოგებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან განუწყვეტლივ ამაღლონ ჩაის ფაბრიკებს და სამეწარმოებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე, მიაღწიონ იმას, რომ თვითეული მუშა დღიური ნორმებს მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩაის ფაბრიკების მუშაობას, სისტემატიურად შეამოწმონ ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების მიმდინარეობა, დაუყოვნებლივ მიიღონ საჭირო ზომები გამამჟღავნებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

„საქართველოს ჩაის ტრესტის ზოგიერთ ფაბრიკაში ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავების წესების დარღვევის შესახებ“ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განუხრელად განხორციელებით მივაღწევთ თვითეული საწარმოს რატმღილ მუშაობას და სამშობლოს მივცემთ მეტი და მაღალი ხარისხის ქართული ჩაის მზა პროდუქციას.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-10 ტომი აზერბაიჯანულ ენაზე

ბაკო, 4 აგვისტო. (საკდისი). აზერბაიჯანულ ენაზე დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-10 ტომი. წიგნი გამოსაცემად მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალმა და გამოსცა აზერბაიჯანის სახელმწიფო გამომცემლობამ.

კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის საშინისტრომ შეჯაჯავეს 1949 წლის მეორე კვარტალში სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაიტოვა სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივს, რომელსაც ამასთანავე მიეკუთვნა პირველი პრემია.

კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივის სახელზე მიღებული სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის საშინისტროსა და საშენ მასალათა მრეწველობა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მესამე ადგილი. ეს ადგილი ეკუთვნის ბაკურიანის ფანერის ქარხნის კოლექტივს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 24 აპრილისა და 2 ივნისის ბრძანებულებათა შესაბამისად **სიმინდისა** და **თამბაქოს** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მტვრების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნნენ:**

ლენინის ორდენით

1. **ავაზაშვილი** ალიხან ალექსანდრე-შშრომელთა დეპუტატების ყვარლის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 18,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

2. **აგრბა** ბაბან მაჭსიმეს-ძე — ოჩამჩირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 16,1 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

3. **აივაზიანი** აღასი ერანოსის-ძე — ოჩამჩირის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 16,9 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

4. **არძენაძე** შუქრი ოსმანის ძე — ქედის რაიონის ცოროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 18.7 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

5. **ეზუგბაია** ელადიმერ ეგნატეს-ძე — გალის რაიონის სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი, რომელმაც 60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 92,1 ცენტნერი სიმინდი.

6. **კაპანაძე** გრიგოლ ილიას-ძე — ლაგოდეხის რაიონის ძერფინსკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 12,4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 28,3 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

7. **კოჭლამაზაშვილი** გიორგი ივანეს-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობის „ლენინის ანდერძის“ ბრიგადირი, რომელმაც 6,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 28,4 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

8. **კუკავა** ვალიკო ყარამანის-ძე — პარტიის ხობის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმის 16 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

9. **კუკავა** ნოე ივანეს-ძე — პარტიის ხობის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმის 16 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

10. **მარდალეიშვილი** მიხეილ ლუკას-ძე — ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 18,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

11. **ნატარაშვილი** გიორგი ბესარიონის-ძე — ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 16,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 33,4 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

12. **სუმბაძე** ვახტანგ ნიკოლოზის-ძე — ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი აგრონომი, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 18,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

13. **ტოკლიკიშვილი** ალექსანდრე მიხეილის-ძე — ლაგოდეხის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 12,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 29,3 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

14. **ციხისთავი** მიხეილ დავითის-ძე — პარტიის ყვარლის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 18,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

15. **ჭანია** სერაპიონ კუტარის-ძე — გაგრის რაიონის „ანთიადის სასოფლო სამეურნეო სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 12,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 24,9 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **აბაშიძე** ხენემე შახელედის ასული — ხულოს რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 25 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

2. **ანახანუმ** ასადყული — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 31,9 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

3. **ბაგალიშვილი** გიგა სიმონის-ძე — სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 28 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

4. **ბერიძე** აიში ჰუსეინის ასული — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 23.2 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

5. **ვეკუა** ვალერიან ონისიმეს-ძე — ხობის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმის 16 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

6. **გოგოლაძე** ბაგრატ ალექსანდრის-ძე — ლაგოდეხის რაიონის ჩხუბიანი-შვილის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 12,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 21,4 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

7. **გომიძე** ლუტბერე შუქრის ასული — ბათუმის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 18,7 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

8. **ძამიაშვილი** ალექსი ვასილის-ძე — სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 28,1 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

9. **დიდმანიძე** ნენი ჰემიდის ასული — ბათუმის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 18,7 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

10. **დიასამიძე** ილია გიორგის-ძე — ყვარლის რაიონული გაზეთის რედაქტორი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 18,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

11. **ზავარაშვილი** — ბარბარე იაკობის ასული — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 28,1 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

12. **ზაკარაია** მაიზაკერ ჰუსეინის ასული — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 23,2 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

13. **ზედელაშვილი** ანა ივანეს ასული — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 36,4 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

14. **იოსავა** მიხეილ ონასას-ძე — ალაკ ხობის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმის 16 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

15. **კავილაძე** იაკობ ირაკლის-ძე — პარტიის ბოლნისის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 10,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

16. **ქემაშვილი** მარო იორამის ასული — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 18,7 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

17. **ყულიევი** მახმუდ ყული ოღლი — მშრომელთა დეპუტატების ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 10,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

18. **ქუმსიაშვილი** ზაქარია თეოფილის-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 30,1 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

19. **ლომაძე** კარლო მელენტიის-ძე — პარტიის ბოლნისის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 10,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

20. **მართაშვილი** ხვთისო თომასის-ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ახალგაზრდა კომუნისტის“ თავმჯდომარე, რომელმაც 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 23,3 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

21. **მათიაშვილი** გიორგი ალექსანდრეს-ძე ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 6,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 28.4 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

22. **მირაქოვი** ერვანდ ალექსანდრეს-ძე — ბოლნისის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი აგრონომი, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 10,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

23. **მჭედლიშვილი** პელაგია ილიას ასული—სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 28,1 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

24. **ფაშა** ალი ოღლი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 29,1 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

25. **საბაშვილი** მარიამ სოლომონის ასული — პარტიის ყვარლის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 18,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

26. **სპანდერაშვილი** გიორგი მოსესძე — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 29,1 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

27. **თოდუა** შალვა ივანეს-ძე — ხობის რაიონის ეროროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 89 ცენტნერი სიმინდი.

28. **თოდუა** დიმიტრი შალვას-ძე — ხობის რაიონის ეროროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 89 ცენტნერი სიმინდი.

29. **ტურავა** პარიონ ბიქიას-ძე — ხობის რაიონის ეროროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 89 ცენტნერი სიმინდი.

30. **ტუხაშვილი** ანა აბრამის ასული — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 28,9 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

31. **ხუმა** გიულ მამედ ოღლი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 31,9 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

32. **ცხადაია** ივლიანე გრიგოლის-ძე — პარტიის ხობის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმის 16 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

33. **ჭანიძე** ნაზიკო მემედის ასული — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 23,2 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

34. **ჭელიძე** შერიე ოსმანის ასული — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 23,2 ცენტნერი „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

35. **ჩიტოიშვილი** შალვა სამსონის-ძე — ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 18,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

36. **ჩხიკვაძე** ანდრია ირაკლის-ძე — პარტიის ყვარლის რაიონული კომიტეტის განყოფილების გამგე, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 18,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

37. **შაინიძე** აიშე ბიქილას ასული—ხულოს რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 25 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

38. **შაინიძე** ისრაფილ ალის-ძე — ხულოს რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 25 ცენტნერი „ტრაპეზონის“ ჯიშის თამბაქო.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **ბალა** ხანუმ მიკი ყიზი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

2. **ბაგალიშვილი** მარიამ ნიკოლოზის ასული — სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

3. **ბაგალიშვილი** ეკატერინე მიხეილის ასული — სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

4. **ბაგალიშვილი** ოლღა მალაქიას ასული—სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

5. **ბარამია** ნანუა ბესარიონის ასული — ზუგდიდის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

6. **ბარბაქაძე** მიხეილ ონისიმეს-ძე — ყვარლის რაიონის ყვარლის მტს-ის დირექტორი.

7. **ბერაია** მარგო ომარის ასული — ზუგდიდის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

8. **ბერაია** ელადიმერ კონსტანტინეს-ძე — ხობის რაიონის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

9. **გამსახურდია** შალვა სოლომონის-ძე — ზუგდიდის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

10. **ჰასანოვა** ზაჰრა ჯასუნ ყიზი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

11. **გეგეჭკორი** მანია ლავრენტის ასული — გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

12. **გუმბათ** როსტომ ოღლი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

13. **ლომაია** ბათლომე დიმიტრის-ძე — ხობის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი.

14. **ნანეიშვილი** ეკატერინა ვასილის-ძე — ხობის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი.

15. **ფხოველიშვილი** ზინაბ ზაქარიას ასული — სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

16. **ჭამედოვი** ამირ მამედ ოღლი — პარტიის ბოლნისის რაიკომის მდივანი.

17. **მორალეეგინი** ბორის ივანეს-ძე — ბოლნისის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი.

18. **ნაკაიძე** ივანე ვლადიმერის-ძე—ბოლნისის რაიონის წყალთა მეურნეობის უფროსი.

19. **სუგრა** გიული მამედ ყიზი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

20. **თოდრია** სოფიო ერმალოზის ასული — გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს წევრი.

21. **ფარაჯევი** ალი ფარაჯ ოღლი—ბოლნისის რაიონის ბოლნისის მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ საწინააღმდეგოდ.

22. **ხვინგია** ოღლა ერმალოზის ასული — გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

23. **შაინიძე** იბრაჰიმ ეგნატეს-ძე — ხულოს რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 24 აპრილისა და 2 ივნისის ბრძანებულებათა შესაბამისად **სიმინდისა** და **თამბაქოს** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მტვრების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნენ:**

ლენინის ორდენით

1. **ავაზაშვილი** ალიხან ალექსანდრე-შშრომელთა დეპუტატების ყვარლის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 18,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

2. **აგრბა** ბაბან მაჭსიმეს-ძე — ოჩამჩირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 16,1 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

3. **აივაზიანი** აღასი ერანოსის-ძე — ოჩამჩირის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 16,9 ცენტნერი № 27 „სამსუნის“ ჯიშის თამბაქო.

4. **არძენაძე** შუქრი ოსმანის ძე — ქედის რაიონის ცოროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 18.7 ცენტ

ახლის გრძნობა ბოლშევიკის ძვირფასი თვისებაა

მილიონობით საბჭოთა მშრომელნი, რომელთაც ნათლად აქვთ შეგნებული თავიანთი დიადი მიზანი, წინ მიდიან, ახალ და ახალ სიმაღლეებს აპყრობენ. ისინი კომუნიზმის გზით მიჰყავს ნაკად და სახელოვან ავანგარდს—ბოლშევიკების პარტიას, ლენინ-სტალინის დიად პარტიას.

კომუნისტები ადამიანთა საზოგადოების გარდამქმნელნი, მსოფლიოს გარდამქმნელნი არიან. ისინი გაბედულნი ნოვატორები არიან. გაუკვალავი, გაუკაფავი გზებით წაიყვანეს მათ მეშათა კლასი და ყველა მშრომელნი. რუსეთი გახდა სოციალიზმის გზის გამკაფავი ქვეყანა. ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილმა და მათი ხელმძღვანელობით მოქმედმა ბოლშევიკების პარტიამ დაგვანახვა მამაცობისა და გმირობის ნიმუშები მუფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ძველი მსოფლიოს მთელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისთვის ბრძოლაში.

კომუნისტები მოწინავე ადამიანები, განსაკუთრებული წყობის ადამიანები არიან. მათ ძალას წარმოადგენს ხალხის მასებთან განუყრელი კავშირი, საზოგადოების განვითარების კანონთა ცოდნა. მათ ძალას წარმოადგენს ახლის გრძნობა.

პარტიის XVIII ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა, დაახასიათა რა ახალგაზრდა კადრები, რომლებიც ჩვენმა პარტიამ აღზარდა და რომლებიც პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს კადრების დიდ უმრავლესობას შეადგენენ, თქვა:

„...მათ ჭაბრად მოეპოვებათ ახლის გრძნობა, — ყოველი ბოლშევიკი მუშაკის ძვირფასი თვისება...“

კომუნისტური პარტია საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა, იგი თავის რიგებში აერთიანებს საბჭოთა ხალხის მოწინავე ადამიანებს, ახალგაზრდა უფრს მხარს ყოველივე ახალს, მოწინავეს, შემოქმედებითს, რასაც წარმოშობს მასების გამოცდილება, ინიციატივა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად შემოქმედებითს მუშაობაში.

საბჭოთა წყობილებამ ისტორიაში პირველად მისცა უადრესად ფართო გასაქანი მილიონობით მშრომელთა შემოქმედებითს საქმიანობას. ბურჟუაზიის მესაფრიკეი ამტკიცებდნენ, თითქოს შემოქმედებითი აზრი პრივილეგიური კლასების მონოპოლია იყოს.

დიდმა ლენინმა თავის სტატიაში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“ ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში დასცინა მათ, ვინც ამტკიცებდა, „უბრალო ხალხი“ თავს ვერ გაართმევს ორგანიზაციული ხასიათის დიდ ამოცანას, რომელიც მშრომელს სოციალისტურმა რევოლუციამ დააკისრა. „უჩვენოდ ოღონდ ვერ წახვალთ“, — ამბობდნენ ბურჟუაზიის დამქაშები. ამხილებდა რა ხალხის მტრებს, ლენინი წერდა: „მათი თავხედური ვარაუდი არ გამართლდება...“. „... გლეხობასა და მუშათა კლასში ორგანიზაციული ტალანტი ბევრია, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — და ეს ტალანტები უკვე გრძნობენ თავიანთ ძალას, იღვიძებენ, ისწრაფვიან ცოცხალი, შემოქმედებითი, დიადი მუშაობისაკენ, დამოუკიდებლად ჰკიდებენ ხელს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას“.

აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების საუცხო ჭალაები და სოფლები. ლაღად სუნთქავენ ფაბრიკა-ქარხნები, მზნე და სასიხარულო შრომაა გაჩაღებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში. ჩვენს ქვეყანაში ყოველდღიურად ჩნდება მასების შემოქმედებითი თვითმოქმედების ახალი ფორმები, შრომის ახალი მეთოდები. მასების პატრიოტული ინიციატივით წარმოშობილი ამ სიახლის დანახვა მისთვის მხარდაჭერა ნიშნავს კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის დაჩქარებას.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადებისაგან უნდა ვისწავლოთო, თუ როგორ უნდა დავინახოთ ახალი და დაეხმაროთ მას. მოსკოვის პირველ კომუნისტურ შაბათობებში ლენინმა დაინახა მუშების ცალკეული მუშებისა და მოწინავე სწრაფოვების თაოსნობა მოკლე ხანში ხდება მილიონობით ადამიანთა კეთილისადა, იქცევა საერთო-სახალხო მოძრაობად.

სწორედ ასეთ მოძრაობად იქცა უკანასკნელ ხანს მრავალი მოწინავე მუშის წამოწყება, ასეთი შედეგი მოჰყვა მოსკოველთა თაოსნობას ზეგეგმითი დაგროვებისათვის და საბრენავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებისათვის ბრძოლაში, ასეთი შედეგი მოჰყვა ლენინგრადელთა თაოსნობას, რომლებმაც დასაწყისი მისცეს მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა მუდმივ შემოქმედებითს თანამეგობრობას. სოფლის რაიონების პარტიული ორგანიზაციები ფართოდ ეწევიან სოფლის მეურნეობის ნოვატორთა — სოციალისტური შრომის გმირთა გამოცდილების პროპაგანდას და ნერგავენ მას, მხარს უჭერენ მოწინავე კოლმეურნეობათა თაოსნობას.

ახლის დამკვიდრება განუყრელად არის დაკავშირებული ძველი ნორმებისა და ჩვეულებების მსხვრევასთან. ჩვენში ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც გაჭირვებით სძლევენ ჩვეულებისა და ინერციის ძალას. ასე მოხდა, მაგალითად, ყარაგანდაში, როცა წამოიჭრა ქვანახშირის შახტების პრაქტიკაში ახალი ტექნიკის—სტალინური პრემიის ლაურეატ ს. მაკაროვის სისტემის სამთო კომბაინის ფართოდ დანერგვის საკითხი. შესანშნავი მანქანა, რომელიც გადატრიალებას ახდენს ქვანახშირის მრეწველობაში, არსებითად უკანასკნელ დრომდე არ ყოფილა ჩაყენებული აუზის სამსახურში. სამთო კომბაინის საქვაბ-სადიდებლად ყარაგანდაში ვრცელ სიტყვებს წარმოთქვამდენ. მხსზე წერდნენ ბრძანებებში, მას ფიცულობდნენ თათბირებზე, საქმეში კი არ იყენებდნენ. რატომ? იმიტომ, რომ მიეჩვევნენ ძველებურად მუშაობას, ერთხელვე შემოღებული წესის ასრულებას, ჩამოყალიბებული ნორმებისა და ტრადიციების დაცვას. და აი მშვენიერი ახალი ტექნიკა უმომქმედოდ იყო.

შესანშნავ კოლმეურნეს — კურგანის ოლქში მომუშავე მცდელ ტერენტი მალცევს, რასაკვირველია, გაცილებით მეტი შეეძლო მიეცა ფრანსილპირეთის სოფლის მეურნეობისათვის, მისთვის რომ ხელი არ შეეშლათ სოფლის მეურნეობის რაიონულ და საოლქო განყოფილებათა კანცელარიის ბიუროკრატებსა და კონსერვატორებს. მოწინავე ადამიანს დიდი ძალღონის დახარჯვა დასჭირდა იმისათვის, რომ გაეტეხა სოციალისტურ მეწამოქმედებაში ნოვატორობისათვის გაწეული წინააღმდეგობა.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ებრძოლონ ამგვარ მოვლენებს. მოდან უნდა გვახსოვდეს და განუხრელად განვახორციელოთ ამხანაგ სტალინის მითითება, რომ საჭიროა ავლაგმოთ ჯიუტი კონსერვატორები, რომლებიც ძველს ებღაუჭებიან, არა სურთ წინსვლა და აფერხებენ ახლის განვითარებას.

კომუნიზმის მშენებლობისათვის დიად ბრძოლაში ახლის გრძნობა დიდი ძალაა. ამ ძალით აღჭურვილი უნდა იყოს ყოველი პარტიული ორგანიზაცია. ამას მოითხოვს ცხოვრება, ამას მოითხოვს ხალხის ინტერესები. ამას გვასწავლის ლენინ-სტალინის დიადი პარტია.

„პრავდის“ 9/VIII მოწინავე

პარტიული ცხოვრება

სამეურნეო წარმატების მოპოვების მნიშვნელოვანი პირობა

ახალსოფლის მტს-მა უკანასკნელ ხანებში ერთგვარად გააუმჯობესა მუშაობა, წარმატებით შეასრულა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

მტს-ის კოლექტივი დროულად მოეგზადა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისათვის. კომბაინერთა შორის გაწოლილია სოციალისტური შეჯიბრება. ისინი თავდადებულად მუშაობენ იმისათვის, რომ მოიპოვონ სუფეკეთო ხარისხის კომბაინერის აგრეგატის სახელწოდება. კომბაინერი ვ. მაძიღლაშვილი პურეულის მოსავლის აღების ყოველ დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს.

აქვე უნდა ითქვას, ისიც რომ მტს-ის მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ეს ნაკლოვანებანი მოწმობენ მტს-ის პირველად პარტიული ორგანიზაციის სუსტ მუშაობას.

მართალია მტს-ს ერთგვარი წარმატება აქვს, მაგრამ იგი მოპოვებულია არა მთელი კოლექტივის შეწყობილი მუშაობით, არამედ ცალკეული მოწინავე კომბაინერებისა და ტრაქტორისტების თავდადებული შრომის მეოხებით.

სამეურნეო წარმატების ბედი წყდება უშუალოდ მინდვრად, ამიტომ აგიტატორები იქ უნდა მუშაობდნენ. მა სორეიე-პოლიტიკური მუშაობის გაშლა ხელს უწყობს სამეურნეო წარმატებათა გამოვლენას, მაგრამ ეს რატომღაც დაივიწყეს ეს ჭეშმარიტება. მტს-ში შეადგინეს აგიტატორების სია, ჩაწერეს ამ სიაში 14 კაცი და ამით დაკმაყოფილდნენ. პარტიულ კრებაზე აგიტატორთა დამტკიცებაც კი არ გახსენებიათ.

მტს-ის სამოქმედო უბნებში პურეულის მოსავლის აღება ორ კვირაზე მეტია რაც დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში აგიტატორებს ერთი საველე გაზეთიც არ გამოუშვიათ. სოფელ ქვემო ვეშვების კოლმეურნეობაში კომბაინერი ი. ჯაბისაშვილი პურეულს 20 სანტიმეტრის სიმაღლეზე იღებს, ხოლო კომუნისტი ბრიგადირი ვ. დუდაშვილი ამ მდგომარეობას გულდამშვიდებით შესცქერის. სოფელ შავშვების კოლმეურნეობა „გზა სოციალიზმისაკენში“ კომბაინერმა ყ. ბრეგაძემ პურეულის ნათესი, ნაცვლად 10 სანტიმეტრისა, აიღო 20 სანტიმეტრის სიმაღლეზე, ამის გამო დანაკარგები ბევრია. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ამ ზომები არ მიუღიათ.

— აბა რა ვქნა, მე ნავთის ბაზაში ვმუშაობ, რომელიც მტს-დან 8 კილომეტრითაა დაშორებული, და დილიდან საღამომდე იქ ვარ, საშვაე მასალას ვანაწილებო, — განაცხადა პარტორგანიზაციის მდივანმა ე. კულბეგაშვილმა.

მტს-ის კომკავშირული ორგანიზაცია 29 კაცს აერთიანებს. მათგან ფიზიკურად მუშაობს 25 კომკავშირელი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აქ ახალგაზრდობას შორის აიმაზრდელობი მუშაობას პარტორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს. იანვრიდან დღემდე კომკავშირის ორგანიზაციის სამმანაბით პარტორგანიზაცია არ დაინტერესებულა, ეს საკითხი ერთხელაც არ გასულხილვა.

ჩვენ ვესაუბრეთ მტს-ის დირექტორის მოადგილეს პოლიტიკურ საწინააღმდეგ. დ. დოთიაშვილს, რომელმაც აღნიშნულ ნაკლოვანებებს მრავალი გასამართლებელი მიზეზი გამოუნახა, მაგრამ ნაკლოვანებანი, ცხადია, ნაკლოვანებებად რჩება.

ახალსოფლის მტს-ს კარგი კოლექტივი ჰყავს. აქ არიან ისეთი ადამიანები. რომლებზე დაყრდნობით ეროიორად მეტი საქმის გაკეთება შეიძლება, ვიდრე ეს ახლა კეთდება. საჭიროა გაძლიერდეს პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივ-კულტურული მუშაობა, მივაღწიოთ იმას, რომ გეგმას ყველა ასრულებდეს. ეს არის მტს-ის პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანა.

შ. ბოგუა
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

გეგმიანობა და შრომის სწორი ორგანიზაცია წყვეტს საქმის წარმატებას

წელს გულრიფშის რაიონში ადრე შეუდგნენ თამბაქოს მოსავლის აღებას. მზიანმა დღეებმა დაჩქარეს ფოთლის დამწიფება. ახლა მეთამბაქოობის კოლმეურნეობათა მთელი ძალები თამბაქოს აღებაზე მუშაობენ. თამბაქოს აღების ტემპი ყოველდღიურად ძლიერდება. სახელმწიფოსთვის ნედლეულის ჩაბარებაც მალე დაიწყება. დრანდიის, ოქტომბრისა და წებელდის თამბაქოს დამამზადებელი პუნქტები მზად არიან ნედლეულის მისაღებად.

მოწინავე კოლმეურნეობები მოსავლს სწრაფად და უდანაკარგოდ იღებენ. ორი ათასზე მეტი კოლმეურნე მონაწილეობს თამბაქოს სუფკეთესოდ აღებისათვის გაწეულ შეჯიბრებაში. მათ იკისრეს კარგად მოუყარონ პლანტაციებს, მოსავალი აიღონ ყოველ ჰექტარზე 10-12 ცენტნერით მეტი, ვიდრე შარშან. შარშანდელისაგან განსხვავებით რაიონში წელს 2.300 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე გახარებულია 95-100 ათასი ძირი მცენარე. პლანტაციებში საკმაო რაოდენობით შეტანილია აზოტოვანი და ფოსფორიანი სასუქები, ათასამდე ჰექტარი ფართობის თვითეულ ძირზე შეტანილია ერთი ლიტრი წუნწუხი. პლანტაციები ორ-სამჯერ გაითოხნა, ზოგან კი, გაფხვიერება მიზნით, მეთოხდაც.

შეჯიბრების ინიციატორი—სოფელ ბაღნარეულის ბერიას სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. იოსავა) კარგად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. კოლმეურნეობის თამბაქოს პლანტაციები გამეფებულია 32 ჰექტარზე და მოვლილია საუკეთესოდ. პლანტაციები სამ-ოთხჯერაა გათოხნილ-გაფხვიერებული, ორჯერად შეტანილია აზოტოვანი სასუქი, ხოლო იმ ნაკვეთებზე, სადაც მცენარეების ზრდა ჩამორჩებოდა, ინდივიდუალური გამოკვების მიზნით, შეტანილია გოგირდმჟავა ამონიუმის ხსნარი. ყოველ ჰექტარზე შენარჩუნებულია სულ მცირე 95 ათასი ძირი მცენარე. კოლმეურნეობას ნაკისრი აქვს ჰექტარზე მოიყვანოს 25 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თამბაქო. ვალდებულების განადღებისათვის ბრძოლაში მოწინავეა ი. ჯიბლაძის ბრიგადა, რომელიც იბრძვის 8 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 28 ცენტნერი თამბაქოს მოყვანისათვის. თამბაქოს პლანტაციები მიჩენილი აქვთ როგლებსა და კოლმეურნეებს. მეთამბაქოე სტახანოველებს შ. გოგოხიას, ა. პერტაიას, ა. კოკაიას, ქ. ბერიას და თ. არაკელიანის პლანტაციები სანიმუშოდაა მოვლილი.

რაიონის ყველა კოლმეურნეობაში ასეთი მდგომარეობა როდია. სოფელ კოდორის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობა მოუმზადებელი შეხვდა თამბაქოს აღებას, ფარდულებში მოუწესრიგებელია შრომა, პლანტაციები დასარეველიანებულია, ზოგან თამბაქოს ფოთოლი გადამწიფებულია. სამრობ ფარდულებში, როგორც წესი, ღამით არ მუშაობენ ლამპების უქონლობის გამო. საკმაო რაოდენობით არა აქვთ ჩარჩოებიც, რაც აფერხებს ანეწილი თამბაქოს შრობას. მაგალითად, პირველ ბრიგადას 250 ჩარჩოს ნაცვლად აქვს მხოლოდ 175. ფარდულის წინა მოედანი და მოსაზღვრე ნაკვეთები, სადაც თამბაქო შრება, არ სუფთავდება სარეველებისაგან, საფენი დროზე არ იცვლება. ბრიგადებში ნელი ტემპით მიმდინარეობს თამბაქოს აღება და გაშრობა. მ. ცვეტკოვის ბრიგადა დღეში 2.500 ზონარმეტრი თამბაქოს ნაცვლად მხოლოდ 1.500-მდე ზონარმეტრს იღებს, რაც შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობის შედეგია. თამბაქოს აღების სამუშაოზე ყოველდღიურად 30 კოლეუორნე უნდა გამოდიოდეს, სინამდვილეში 15-20 გამოდის. ასეთივე მდგომარეობაა სხვა ბრიგადებშიც. ამის შედეგია ის, რომ მოსავლის აღების დაწყებიდან ერთი თვის მანძილზე კოლმეურნეობაში აღებულია მხოლოდ 20 ათასი ზონარმეტრი თამბაქო. ასეთი ტემპით კოლმეურნეობა წლის ბოლომდეც ვერ მოასწრებს გეგმით გათვალისწინებული 440 ათასი ზონარმეტრი თამბაქოს აღებას.

კოლმეურნეობას არ აქვს შედეგნილი მოსავლის აღების კალენდარული გეგმა. ბრიგადებსა და რგოლებს მიცემული არა აქვთ ყოველდღიური დავალება. კოლმეურნეები არ იცნობენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ“.

რაიონულმა ორგანიზაციებმა მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, რათა მეთამბაქოეებმა პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება — მთელი 2.300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 10 ცენტნერი თამბაქოს მოყვანის შესახებ.

ს. ფოფნია
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

შაქრის ჭარხლის ნათესებს კარგად უვლიან

სტალინირი. (საკ. კორ.). მიუხედავად ძლიერი გვალვისა, მთელ რიგ კოლმეურნეობებში შაქრის ჭარხლის მოსავლის კარგი პირი ეჩანს. უხვი მოსავლის მოლებისათვის გაწეული სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სოფელ თამარაშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ელენე თევგაშვილისა და ანეტა გოგიძის რგოლები. თვითეული მათგანი ყოველ ჰექტარზე 900 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მიღებისათვის იბრძვის. ისინი თავიანთ მდიდარ გამოცდილებას და შესაძლებლობას ახმარენ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ნათესი საუკეთოდ არის განვითარებული.

ურწყავი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 500 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მიღებისათვის იბრძვიან სოფელ ქვემო კორკოლის კოლმეურნეობის მეჭარხლეები. განსაკუთრებით კარგად აქვთ მოვლილი მიჩენილი ნაკვეთები არტემ, ეკატერინე და ელენე კაზოევებს. შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის წარმატებით იბრძვიან აგრეთვე სოფელ ქურთის, კეხვის, მამითიაკის და სხვ. კოლმეურნეობათა სტახანოველი მეჭარხლეები.

დღეს რუსთაველის მარგვანის ღუმელთა მომეზვლელებთან

მარტენის საამქროს ვეებერთელა კორპუსში მეორე სართულის სიმაღლიდან უკვე გადმოშვერილია ორი ტეჩმოკლე ძმიგ ღარი. ეს იმის მომასწავებელია, რომ ღუმელთა მშენებლებს, მიუხედავად სიძნელეებისა, საქმე წინ წაეწევიათ, უკვე გაუკეთებიათ ამონაგი „მოხარშული“ კახმიდან ნადენი გათხევადებული ლითონის გადმოსაღვრელი „ხახის“ ზონამდე და შესდგომიან ღუმელთა ზედა სფეროს ამონაგის კეთებას.

აქ ორი ღუმელი უნდა ამუშავდეს პირველ რიგში. ამაზე მუშობენ ახლა რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ გიგანტებში გამოცდილებამიღებული ახალგაზრდა ქართველი მეტალურგი მელუმელეები — მიხა ხუციშვილი, მალვა მაკარაშვილი, ვალერიან ინანაქე, მიხეილ მუჩიაური, რეზო ნონიაშვილი, ნიკო ჩუბანიძე და მრავალი სხვანი.

ცხრა ახალგაზრდა მეღუმელე მეტალურგს ხელმძღვანელობს თელეველი მიხა ხუციშვილი, მარტენის პირველი ღუმელის მშენებელთა ბრიგადირი. არათუ დავიწყნიათ ამ ახალგაზრდებს სტალინოსა, მაკეეევკისა და ურალის ქარხნებში მიღებული ცოდნა და ჩვეულები, კიდევ უფრო გაუღრმავებიათ თავიანთი კვალიფიკაცია, საუცხოოდ ართმევენ საქმეს თავს, შესანიშნავ ნიშსა და უნარს იჩენენ. მთ ტექნიკურ ხელმძღვანელად სტალინოდან აქ ჩამოსული ძველი, ნაცადი მეღუმელეტალურგი ვასილ ოლოვიოვი სიამაყით აღნიშნავს ალექსი მჭედლიშვილს, რევაზ ხინჩიღაშვილის, ალექსანდრე მიგრიაულის მაღალი კლასის მუშაობას. მშვენივრად „კითხულობენ“ ნახაზებსო, ამბობს იგი, საუცხოოდ ერკვევიან სამუშაო პროექტში, ისე გულდადებით და უნარიანად მუშაობენ, ძველი კადრებით მდიდარ სხვა მეტალურგიულ ქარხნებშიც საამაყოდ ჩათვლიდნენ ასეთი კვალიფიციური ახალგაზრდების ყოლასო.

მარტენის ღუმელთა შიგნითა ნაწილის ამოშენება, რასაც ტექნიკოსთა ენაზე ამონაგს უწოდებენ, რთული საქმეა: მარტენის ღუმელს შიგნით, სადაც 10-12 კაცი მუშაობს, ამონაგის დაკანონებისა და ზუსტი ფორმის მიცემისას საპროექტო ნახაზიდან თუნდაც ერთი მილიმეტრით გადახვევა დაუშვებელია. მაშინ ტემპერატურა ღუმელში როდი განაწილდება ისეთი სიზუსტით, როგორიც საჭიროა მაღალი მარკების ფოლადის მისაღებად. ამ ამონაგის გასაკეთებლად კი სხვადასხვა ცეცხლგამძლე მასალაა საჭირო — მაგნეზიტური აგური, შამოტი, დინასი, ქრომმო-მაგნეზიტი და ა. შ. ყოველი ეს მასალა ზუსტად უნდა იყოს შერჩეული, ფენითა ერთი მეორეზე დალაგების წესი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს, ყველა ტიპის ცეცხლგამძლე მასალისათვის ღუმელს ბიგიით განსაკუთრებული ბუდეა გათვალისწინებული.

მაგრამ მიუხედავად ასეთი სიზუსტისა და დაკვირვებულობისა, ღუმელი ამონაგის გამოცვლა მაინც საჭირო იქნება სისტემატურად. ამიტომ ეს მეღუმელე-ვეტალურგები მარტენ ახლა რიდი ამზადებენ „ფოლადის სახარშებს“, არამედ ათ შემდეგაც უნდა გაეწიონ ამ ღუმელებს ძმმსახურება. საექსპლოატაციო სამუშაოთა დაწყების შემდეგ მელუმელეები კიდევ მეტი რიოდენობით იქნებიან საჭირონი და სწორედ ამიტომ ამას წინათ რუსთაველიდან სხვა მეტალურგიულ ქარხნებში მიავლინეს რამდენიმე ახალგაზრდა ექსპლოატაციაში მყოფი არტენის ღუმელთა მომსახურების საქმეში დასახელოვნებლად.

— როგორ არის თქვენთან საქმე?

— ჯერჯერობით არა უშავს რა. მასალა გვაქვს, განწყობილება საუცხოოა და თუ მასალა კვლავაც შეუფერხებლად მოგვაწოდეს, თუ დილასა და შამოტის მომარაგებაში ეი არ შეგვშალა, ამ ღუმელებს, ფიქრი არაა, ვადამდეც გავამზადებთ!

ასე ამბობდა მიხა ხუციშვილი და განაგრძობდა თხრობას იმის შესახებ, თუ როგორი ხალისით და ენთუზიაზმით მუშაობენ მისი ბრიგადის ბეგრები, რათა თავის მხრივ ყველაფერი გაკეთონ პირველი ქართული ფოლადის დროოულად გამოსაშვებად.

მოხვევ მეტალურგს ალექსანდრე მიგრიაულს სოფლიდან რუსთავში დედა ესტუმრა. დაიგვიანა შვილმა სახლში დაბრუნება და დედამ სამუშაოზე მიაკითხა.

— გვეჩქარება, დედი, ამ სამუშაოს დამთავრება, მთელ ქვეყანას ეჩქარება ამ ღუმელების ამუშავება და ამიტომ შემაგვიანდაო, — დაამშვიდა შვილმა მოხუცი.

ასე თავდადებით მუშობენ მარტენის ღუმელთა მშენებლები. მთ ღუმელთ მეონენტაჟეები და არც თბოტექნიკოსები ჩამორჩებიან. საამქროს უზარმაზარ კორპუსში განუწყვეტელ ხმაური მოისმის. ზოგი ელექტროგაყვანილობაზე მუშაობს, სხვები მოძრავ ჩამტვირთავ მანქანას ამონტაჟებენ, მაღლა ნიღუარაშეს აყენებენ, ესტაკადიდან საამქროს კოროპუსის მეორე სართულზე რკინიგზის ლიანდაგი შემოპყავთ, იქით კუთხეში ახალი აპარატურისათვის ბეტონის ბუდეებს ამზადებენ. ყველა ჩქარობს, ყველა მინდობილ საქმეს აკეთებს და ყველა მოითხოვს:

— მოგვაწოდეთ საშენი მასალები, მანქანა-დანადგართა ნაწილები!

დ. ლოგოთაძე

კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი ზუსტად უნდა სრულდებოდეს

ოთხ თვეზე მეტია, რაც ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის დირექციამ და საშახტო კომიტეტმა ხელი მოაწერეს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას, რომელიც შახტის მთელი მუშაობის პროგრამას წარმოადგენს 1949 წლის მანძილზე. შახტის დირექციასა და პროფკავშირის ორგანიზაციას დაკისრებული აქვთ საპატიო ამოცანა — ზუსტად განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი, მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული რეზერვები, მთელი ძალები დარაზმონ ქვანახშირის მოპოვების წლიური გეგმის შესასრულებლად.

როგორ იბრძვიან შახტის დირექცია და პროფორგანიზაცია ნაკისრ ვალდებულებათა განსაღდებლად? საშუუხაროდ ძალიან ცოდად. მიუხედავად იმისა რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან საკმაო დრო გავიდა, მრავალი ვალდებულება, კვლავ გაუნაღდებელია. შახტმა ვერ შეასრულა შვიდი თვის დავალება და ქვეყანას რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი დააკლო. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა წარმოების ნელი ტემპია, კვლავ მცირეა მოქმედი ლავების რიცხვი.

კოლექტიური ხელშეკრულებით, ამ ორი თვის წინათ ახალი ველი უნდა გადაეცათ საექსპლოატაციოდ, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა ქვანახშირის ამოღებას, მაგრამ იგი დღესაც მზადების პროცესშია.

როგორც ახალ, ისე გასული წლის კოლექტიურ ხელშეკრულებაშიც ჩაწერილი იყო საშახტო-საავარო პარკის გადიდების საკითხი, მაგრამ საქმე კვლავ ადგილიდან არ იძვრის. საშახტო ვაგონების რემონტი თვეობით ჭიანურდება, რაც აფერხებს შახტის რიტმულ მუშაობას.

ხელშეკრულებაში ჩაწერილია ორი მნიშვნელოვანი პუნქტი—მუშათა კლუბის რემონტისა და შახტათან მისასვლელი გზების კეთილმოწყობის შესახებ. კლუბის რემონტი ერთ წელზე მეტია დაწყებულია. ხელშეკრულების მიხედვით იგი მაისში უნდა დაემთავრებიათ, მაგრამ დღესაც არ არის დამთავრებული. შახტათან მისასვლელი გზები, გიჟსაკუთრებთ წვიმიან ამინდში, გაუვალი ხდება, რაც აფერხებს შახტის მომარაგების ხის სამაგრი მასალით. გზის შეკეთების საკითხი შახტის ადმინისტრაციამ სრულიად მიიგიწყა, ხოლო პროფკავშირული ორგანიზაცია (თავმჯდომარე გ. სოფოომაძე) ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენს ხელშეკრულებაში ჩაწერილი მუხლების განხორციელების საქმეში.

ხელშეკრულებას დართული აქვს შეთანხმებები კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვისა და შრომის დაცვის შესახებ. ბევრი მთგანი აპრილსა და მაისში უნდა განხორციელებულიყო. მაგალითად, დიეტური კვების მოწყობა, აბანოს, სამრეცხაოსა და სპეცტანსაცმლის საშრობის რეკონსტრუქცია. ყველა ესენი დღემდე შეუსრულებელია.

სისტემატურად ირღვევა აგრეთვე ხელშეკრულების მუხლები მეშახტეთა თვის სპეცტანსაცმლის, სპეცსაბნისა და მორიგი შვებულების მიცემის შესახებ.

შახტის უფროსს ამხ. ქ. თათარიშვილს სავალდებულოდ არ მიაჩნია კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, პირიქით, ვალდებულებათა შეუსრულებლობის ბრალს ზემდგომ ორგანოებს აკისრებს, ნაკისრი ვალდებულებები იმიტომაც არ სრულდება, რომ მთელ შახტში კოლექტიური ხელშეკრულების მხოლოდ ერთი ეგზემპლარი მოიპოვება და ისიც საშახტო კომიტეტის ქაღალდების გასაჯინაშია ჩაკეტილი. უბნებსა, ცეხებსა და საამქროებში არა აქვთ კოლექტიური ხელშეკრულების ტექსტი. ბევრ ხელმძღვანელ მუშაკს კიდევ დავიწყდა, თუ რა ვალდებულება აქვს ნაკისრი დირექციას.

არასეზონურად ეკიდება ლენინის სახელობის შახტში დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებას ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტიც (თავმჯდომარე ამხ. ლ. ვორგოიძე). მას დღემდე ერთი ცალი დამტკიცებული კოლექტიური ხელშეკრულებაც კი არ გამოუგზავნია შახტის პროფკავშირული ორგანიზაციისათვის.

პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თანამშრომლები ხშირად ჩამოდიან ლენინის სახელობის შახტში, მაგრამ ისინი საწუვრო ანარიცხების აკრეფის გეგმის შესრულებით უფრო არიან დაინტერესებული, ვიდრე კოლექტიური ხელშეკრულების განხორციელებით.

კოლექტიური ხელშეკრულება კანონია იმათთვის, ვინც მას ხელი მოაწერა. მასში გათვალისწინებული ვალდებულებანი უნდა სრულდებოდეს ზუსტად და თავის დროზე.

ვ. ცინცაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მოსკოვიდან გაემგზავრა საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია ახალგაზრდობისა და სტუდენტობის საერთაშორისო ფესტივალზე

14 აგვისტოს ბუდაპეშტში იხსნება ახალგაზრდობისა და სტუდენტობის საერთაშორისო ფესტივალი. 8 აგვისტოს მოსკოვიდან სპეციალური მატარებლით ბუდაპეშტს გაემგზავრა ფესტივალის მონაწილეთა — საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი. კიევის ვაგზალზე დელეგაცია გააცილეს საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის, საკავშირო ალკა მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, დედაქალაქის კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

(საკდისი).

საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში

პროფკავშირული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ შემნახველი სალაროების მუშაკებს

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ შემნახველი სალაროების სამმართველოს უფროსის ბოხესენა მშრომელთა მიერ შემნახველი სალაროებში ანაბრების შეტანის მიმდინარეობის შესახებ, აღმოჩნდა, რომ ბოლო ხანებში შემნახველი სალაროების მუშაკებმა შეასუსტეს მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა ანაბრების მისაზიდვად. ამის შედეგად, თუ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რესუბლიკის შემნახველ სალაროებში ანაბრათა ნაშთი გაიზარდა 13 მილიონი მანეთით, მეორე კვარტალში ნაშთის შემდგომი საგრძნობი ზრდა არ ყოფილა.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაევალათ: სისტემატურად განიხილონ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე შრომელთა თავისუფალი თანხების შემნახველ სალაროებში მიზიდვის საკითხები, გააშუქონ ძირეულ პრესაში და მრავალტირაჟიან ბროშურებში შემნახველი სალაროების მუშაობა, გაალეკრონ პროფკავშირთა წევრებს შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა შემნახველ სალაროებში ანაბრათა შეტანის ხელსაყრელობის შესახებ.

ძირეულ პროფორგანიზაციებს დაეკისრათ 15 აგვისტომდე დაამთავრონ სახელმწიფო კრედიტისა და საშენახველო საქმის ხელშემწყობი ადგილობრივი კომისიების მუშაობის შემოწმება და დასახარნ ღონისძიებანი მათი მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ადგილობრივმა პროფორგანიზაციებმა ხელშემწყობი კომისიების საშუალებით ერთ თვეში უნდა დაამთავრონ მუშა-მოსამსახურთა ობლიგაციების მასობრივი შემოწმება ყველა გამოქვეყნებული სტირატაჟი ცხრილის მიხედვით.

ლექციორიუმები შაბრიკებთან

პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს გააძლიეროს საწარმოების მუშაობა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შორის კულტმასობრივი მუშაობა, მოაწყოს მუშათა საფაბრიკო კლუბებსა და წითელ კუთხეებს შორის გამოცდილების გაზიარება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლამდელ ასაკის ბავშვებს შორის ტექნიკური პროპაგანდის გაძლიერებას.

რესპუბლიკურ კომიტეტს რჩევა მიეცა სექტემბრამდე მოაწყოს ლექტორიუმები თბილისის კამოდ-მაუდის ფაბრიკასა და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში.

გამარჯვების დღეს თბილისელ დაზგათმშენებლებს

მუშაობა დამთავრდა. მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ქარხნის ყოველი კუთხიდან მექანიკური სამქროსკენ მიიჩქარიან. რამდენიმე წუთის შემდეგ სამქროში დიდძალი ხალხი შეგროვდა. მოსულან სტუმრები—ფეზობელი ქარხნებისა და ფაბრიკების წარმომადგენლები — მოწინავე დაზგათმშენებლები, ლითონსხმელები, ბანქანთმშენებლები, მეტრიკოტაჟები...

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დაავალა 122 პროცენტით გაანაღდა, მარშანდელთან შედარებით 21 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება, 7,1 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. კიროველებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს წარმოების კულტურის ამაღლების, მოწესობლობის შეუთვისებელი მუშაობის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. დაზგათმშენებელთა ამ მოწინავე კოლექტივმა განსაკუთრებული ნაყოფიერების ფეხშეა 1949 წლის მეორე კვარტალში. ყველა საწარმოო მაჩვენებლის მიხედვით მან დიდი გადაჭარბებით შესასრულა კვარტალური გეგმა, გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და საფოფკავშირთა საკავშირო საბჭოსა და სსრ კავშირთა დაზგათმშენებლობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

ამ გამარჯვებისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებას ხსნის ქარხნის პარტბიუროს მდივანი კ. გოგლიძე.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სამინისტროს მძიმე დაზგათმშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ბრეფნეი. კიროველ დაზგათმშენებლებს მან მიუღოცა მოპოვებული გამარჯვება. „სურვილი ახალ წარმატებათა მოპოვება შემდგომ მუშაობაში და წითელი დროშა ვადასცა ქარხნის დირექტორს ამხ. ა. მელაძეს.

სპასუხო სიტყვაში ამხ. მელაძემ ქარხნის კოლექტივის სახელით პირობა დადო, რომ ამ ღირსეულ ჯილდოს უპასუხებენ მოშობის შემდგომი გაძლიერებით, იბრძოლებენ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ეს დროშა.

დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნა მირგოროდში

ქართველმა ხალხმა მრავალი წლის მანძილზე არ იცოდა, სად გარდაიცვალა და სად იყო დაკრძალული „დავითიანის“ ავტორი. საბჭოთა უკრაინის მშრომელებმა და მწერლებმა მოძებნეს და დადგინეს დავით გურამიშვილის დაკრძალვის ადგილი მირგოროდში. უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მირგოროდის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა დავით გურამიშვილის სახელი. მისი სახელი მიეკუთვნა მირგოროდის № 2 შვიდწლიან სკოლას.

ეკრის, 7 აგვისტოს, პოეტის სიფლავზე მოხდა ძეგლის სახეზინა გახსნა, ხოლო სოფელ ზუბოკავაში საშუალო სკოლის შენობას გუეკეთდა მემორიალური დფფა. მე-18 საუკუნეში აქ იყო სასლი, რომელშიც ცხოვრობდა და თავის ნაწარმოებებს ქმნიდა დიდი ქართველი პოეტი.

დავით გურამიშვილის ხსოვნის აღნიშნა საბჭოთა სოციალისტური კულტურის ბრწყინვალე დღესასწაულად გადიქცა. მირგოროდში ჩამოვიდა ქართველი მწერლების დელეგაცია.

უკრაინელთა ხალხმა პოლტავშინაში გაგზავნა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოეტ მოკოლა ბაჟანის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან პოეტი-აკადემიკოსი პაველ ტიჩინა, მწერლები სიმონ სკლოროვსკი, პეტრო პანჩი, უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლიტერატურისა და ხელოვნების სექტორის გამგე ვლადიმერ რუბანი, მწერალი ფილიპო კოსარიკი, კომპოზიტორი ანდრია შტოგარენკო, მხატვარი მიხეილ ხმელკო, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი ალექსანდრე ოფოროსკი და სხვები.

სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ მირგოროდის რაიონის სოფელ ზუბოკავის კოლმეურნეები. სოფლის უხუცესმა კოლმეურნეებმა პეტრო სამუსამ, ტოროფილ პელეზამ, ტარას მოსკალენკომ ქართველ მწერლებს სანდრო ზანშიაშვილს, ყარლო კალაძეს და ალექსანდრე ზარამიძეს უკრაინელი ნაკვარი ტოლოცანი მიართვეს პურმარილი.

12 საათზე სოფლის სკოლის შენობასთან გაიმართა მიტინგი, მიძღვნილი მემორიალური დფფის დადგმისადმი. იმპრეზიზებელი ტრიბუნის თავზე ბრწყინავენ ტრანსპარანტთა სიტყვები: „ეფიდება ქართველ ხალხს ინმისათვის, რომ მან მოგვცა ბედნიერი ცხოვრება; შემოქმედი დიდი სტალინი“, „Хай живе наша велика радянська батківщина—твердиня дружбы народів нашої країни“.

მიტინგი გახსნა მშრომელთა დეპუტატების მირგოროდის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. შიკომ. დავით გურამიშვილის ცხოვრების და შესანიშნავი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სიტყვებით გამოვიდნენ ზუბოკავის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. პასკო, პოეტი სანდრო ზანშიაშვილი, მწერალი ფილიპო კოსარიკი, უკრაინის კ. პ. (ბ) მირგოროდის რაიკომის მდივანი ამხ. შეკუა; პოეტმა მაკაჟა მრეველშვილმა წაიკითხა რუსულ ენაზე გადათარგმნილი თავისი ლექსი „უკრაინა“.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ უკრაინის სსრ სახალხო არტისტს ალექსანდრე ოფოროსკოს, რომელმაც წაიკითხა გიორგი ლეონიძისა და პაველ ტიჩინას ლექსები, მიძღვნილი დავით გურამიშვილისადმი.

შემდეგ სკოლის შენობას გუეკეთდა მემორიალური დფფა. მასზე უკრაინული წარწერაა: **„Нацьому місці стояв будинок. в якову жив 1738-1758 рр. та 1763-1792 рр. классик грузинської поезії Давид Гурамішвілі“.**

სოფელში გაიმართა მასობრივი სახალხო სეირნობა. ქართველი მწერლები შეხვდნენ იმ ქართველთა ჩამოსავლებს, რომლებიც აქ დავით გურამიშვილთან ერთად ცხოვრობდნენ. ქართველმა კოლმეურნეებმა ლიდა ადავზელიძემ და ალტი ბელიანამ სტუმრებს უამბეს თავიანთი წარმატებებზე უხეი მოსავლის მოყვანაში და მიართვეს ცოცხალი ყვავილების დიდძალი თაიგული.

17 საათზე მირგოროდის განაპირას, ძველ სასაფლაოზე, სადაც დავით გურამიშვილის ნეშტია დაკრძალული, შეიკრიბა 20 ათასზე მეტი კაცი. მანქანებით მოვიდნენ ზუბოკავის, ვასილიკი სოროჩინეცის, ხომეტეცეს, ოჩაკის და სხვა სოფლების კოლმეურნეები.

მიტინგი საფლავის ძეგლთან, რომელიც ქართველ პოეტს აუფო მადლიერმა უკრაინელმა ხალხმა, გახსნა პოლტავის სოლკომ საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ი. მ. მარტინენკომ. შემდეგ გამოვიდა უკრაინის კ. პ. (ბ) პოლტავის სოლკომ კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ს. კოლეინი.

— დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნით,— თქვა ამხ. ვოლეინმა, — ჩვენ ჯეროვან მადლობას ვუხდით კეთილშობილ, ვგრძ ქართველ ხალს, რომელმაც საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში მოიპოვა ბედნიერება და თავისუფლება. ამ თავისუფლებისაკენ მიისწრაფოდა მაგნნერამ გული დიდი პატრიოტი პოეტისა, რომლის ნეშტიც მიიბარა მისთვის ძვირფასმა პოლტავის მიწამ. საუკუნეები გაიელის, მაგრამ ამ სიდადილისაკენ გზა არ წაიშლება. უკრაინელი ხალხი ადასებს, მას უყვარს დავით გურამიშვილის პოეზია. სასიამოვნოა, რომ ბევრი მისი ნაწარმოება დაწერილია უკრაინულ თემებზე, რომ ისინი შეაფიოდ და მხატვრულად ასახავენ პოლტავნების ბუნებას, მისი ადამიანების ყოფა-ცხოვრებას.

შემდეგ მკაფიო სიტყვით გამოვიდა უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პოეტი პაველ ტიჩინა.

— ჩვენი ხალხი, — ამბობს პაველ ტიჩინა,— ზეიმით აღნიშნავს ჩვენი საბჭოთა ეპოქა-რე პატრიოტის დავით გურამიშვილის საფლავზე ძეგლის გახსნას. ამით უკრაინის მშრომელი ცხადყოფენ, თუ როგორ აფასებენ და უფროსლდებიან ქართველი კლასიკოსის, ჯოჯო „ქართლის ბიჭის“ შემოქმედს, ნიჭიერი ოვნის „დავითიანის“ ავტორის მემკვიდრეობას. მშფოთვარე იყო დავით გურამიშვილის ცხოვრება. ასევეთვე იყო მისი შემოქმედება — მუდამ დაძაბული, ტრაგიკული. მაგრამ პოეტმა ეს შემოქმედება მთლიანა ფეთვეს, რომ გაეცოცხლებინა, ისედით აღეესო ბედშავი და დაჩაგრული ხალხი.

ჩვენი სამშობლოს ხალხები თავისუფლების უკვდავების წყაროთი გაიკოცხლა მხოლოდ ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ.

დავით გურამიშვილი მაზლობელი და ძვირფასია ჩვენთვის, უკრაინელი მწერლებისათვის. იგი ჩვენთვის ისეთივე მშობლიურია, როგორც ქართველი ხალხისათვის. გურამიშვილის შემოქმედება ჩვენთვის ბასდა ეს შეგაერთებელი ხიდი, რომელზეც ქართველი და უკრაინელი კულტურები ასე ახლოს შეხვდნენ ერთმანეთს მე-18 საუკუნეში.

უკრაინაში ცხოვრებისას, — განაგრძობს პაველ ტიჩინა, — დავით გურამიშვილი დიდ უფლა უკრაინულ ენას. მან შეისწავლა ჩვენი ხალხური შემოქმედება და თვითონ წერდა თავის ხალხურ სიმღერებს უკრაინული სიმღერების ნიგვეზზე.

ეს ჩვენთვის, უკრაინელებისათვის, საფასებთ გაასგები იყო. ხომ ინავ გზას დადგა მთელი უკრაინელი ხალხი თავისა სახელოვანი გეგმაინის ბოგდან ხმელნიცკის მეთაურობით. ეს, რასაკვირველია, კარგად იცოდა დავით გურამიშვილმა.

დღეევანდელი ჩვენი დღესასწაული — დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნის დღესასწაული, — ამბობს დასასრულ პაველ ტიჩინა, — დაე ემსახურებოდეს ქართველ ხალხთან ჩვენს უფრო დიდ მეტ ერთიანობას, საბჭოთა კავშირის მიღწევების ერთიანობას გაზიარებას.

პაველ ტიჩინამ შესახსენა:

— გაუმარჯოს უკრაინელი ხალხის მეგობრობას ქართველ ხალხთან!

— გაუმარჯოს უკრაინის ბოლშევიკების ხელმძღვანელს ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვს!

— დიდება დიდ სტალინს!

ამ სიტყვებს ფარავს ხანგრძლივი მქუხარე ოვაციები და ეაშპს შეძახილები.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ეროვნული სიტყვის ოდესა ქართულსა ენაზე ეკეთა, რომელიც თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა დავით გურამიშვილის ღრმა პატრიოტიზმი, მისი პოეზიის ხალხურობა.

ქართველმა ხალხმა, — ამბობს ბესო ყოფერტა, — აქ რომ გამოვეგზავნე, ვეთხოვა გიფრთგეკი თქვენთვის, ძეგრფასო უკრაინელო მეგობრებო, დიდი მადლობა ამ სიყვარულისა და ყურადღებისათვის, რომლითაც თქვენ მოეკყარით ქართული პოეზიის კლასიკოსის დავით გურამიშვილის სიფლსს.

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით მიტინგზე გამოვიდა კავშირის ქართული მწერლობის კომისიის თავმჯდომარე ვიქტორ გოლუკეი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელით შეკრებილთ გულთბილად მიესალმა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი ალექსანდრე ბარამიძე.

ჯოტმა კარლო კალაძემ ელერთთანეულნი წაიკითხა „დავითიანის“ ნაწყვეტი ქართულ ენაზე. შემდეგ ეს ნაწყვეტი რუსულ ენაზე წაიკითხა ვიქტორ გოლუკემ და უკრაინულ ენაზე — მიკოლა ბაჟანმა.

საზეიმოდ ეღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. ძეგლი გახსნილია. იგი ფარავდაგეზს შავი ეფერაინული ლაბრადორის ობელისკს დავით გურამიშვილის თეთრი მარმარილოს ბარელიეფი. ძეგლი გაფორმებულია ქართული ორნამენტით. მასზე წარწერაა ქართულ და უკრაინულ ენებზე — „დავით გურამიშვილი. ბიბ ქართველი ხალხის დიდი პოეტი. 1705-1792“.

ძეგლი აგებულია არქიტექტორ შ. ჯეფიას, კ. ჯანაშიას და მოქანდაკე ი. ბაგბას პროექტით. შეეჩეწყოს „ზაპოიტის“ ჰანგებში ძეგლი შამკეს მრავალი გვირგვინით საქართველოს და უკრაინის მშრომელთაგან.

მირგოროდის რაიონის კოლმეურნეებმა ძეგლის გახსნა აღნიშნეს მასობრივი პიკნიკ ალილებით დავით გურამიშვილის პატივსაცემად. ამ დღეს დამამზადებელ პენეკეტის მეთ ჩაბაჯის დაახლოებით 1.000 ტონა მაღალხარისხოვანი მარცელეული. გეიან ღამემდე გრძელდებოდა სახალხო სეირნობა მირგოროდში. მშრომელთა წინაშე გამოვიდნენ პოლტავის სახელმწიფო ფილარმონიის საგუნდო კაპელა და ორკესტრი, სიფეფილიო არტისტული ანსამბლი და ოლქის თვითმოქმედებითი კოლექტივები.

ზ. ლიპაუსკი
საკელის სპეც. კორ.

მარქსიზმ-ლენინიზმის საუუძვლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიიღო გადაწყვეტილება უმაღლეს სასწავლებლებში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიის მასწავლებელთა კადრების მომზადებისა და გადამზადების შესახებ.

ერონ ბერქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტები სწავლების ერთი წლის ვადით მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან. ყოველწლიური მიღება დაწესებულია შესაბამისად 150, 100 და 50 კაცის რაოდენობით. გარდა ამისა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიის სეფ მეორე 100 მასწავლებელი ყოველწლიურად უნდა გაგზავნოს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ტბილისის უმაღლეს სასწავლებლებში საკანდიდატო დისერტაციების დასამთავრებლად, სულ მეორე 30 მასწავლებელი— სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში საფილოსოფოო დისერტაციის შესასრულებლად.

დაწესებული უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტურაში მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრაზე მიღების ოდენობა: 1949 წელ — 150 კაცი, 1950 წელს — 200 კაცი, პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე — 120, და 150, ფილოსოფიის კათედრაზე — 75-100 კაცი. (საკადესი).

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება

ზესტაფონი. (საკ. კორ.), რაიონში 10 თვის წინათ შეიქმნა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც თავდაპირველად 9 წევრი შედიოდა. ამჟამად საზოგადოება 100-მდე ნამდვილ და ხელშეწყობ წევრს აერთიანებს: საზოგადოების წევრ-კოლექტივებად ითვლებიან ზესტაფონის ბერიას სახელობის ფეიერშენდობთა ქარხანა, სოფელ მეორე სვირის სტალინისა და სოფელ თვრინის მიქიანების სახელობის კოლმეურნეობები.

მარტო მომდინარე წელს რაიონის მსგავ სამრეწველო, სატრანსპორტო ობიექტებზე და კოლმეურნეობებში საზოგადოების წევრთა მიერ წაკითხულ იქნა 100-ზე მეტი ლექცია.

მოდალბარისხოვან ლექციებს კითხულობენ საზოგადოების წევრები: გ. ჩიტანავა, ა. გაჩეჩილაძე, ს. ფხაკაძე, მ. სარალიძე, ბ. კუპატაძე, დ. კოვზარიძე და სხვები.

საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის პარტიული კაბინეტის გამგე ამხ. გ. ჩიტანავა.

საკოლმეურნეო კლუბი და ბიბლიოთეკა

ბოლნისი. (საკ. კორ.). დგვარის კომენტერნის მეშვიდე კონგრესის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა 250 მაყურებლისათვის განკუთვნილი საკოლმეურნეო კლუბის, აგრეთვე ბიბლიოთეკის შენებლობა და კეთილშოწყობა.

ბიბლიოთეკისათვის შეძენილია საკმაო რაოდენობის მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა.

ქარელი. (საკ. კორ.). პირველი მოხსნის კოლმეურნეობაში დაიწყო ახალი საკოლმეურნეო კლუბის შენებლობა. კლუბი გ 5კუთვნილია 230 მაყურებლისათვის. შენებლობა დამთავრდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32 წლისთავისათვის.

მაგნეტობს რადიოფიციკაციული სოფლების რიცხვი

ახალციხე. (საკ. კორ.). სწრაფი ტემპით მიმდინარეობს რაიონის საკოლმეურნეო სოფლების რადიოფიკაცია. რადიორეპროდუქტორები ამეტყველდნენ ახალციხე - ივლიტა-ს და წყრთის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობების წევრთა ბინებში. წელს დამთავრდება აგრეთვე ელიაწმინდის, ანის, მიქელწმინდის, წარის, აბის და ბოგის რადიოფიკირება. მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებაში კოლმეურნეები დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობენ.

ახალი ნაგებობანი

ჩხარი. (საკ. კორ.). სოფელ ძევრის კოლმეურნეობა „კომინტერნში“ ზედაზაზარის „წითელი ოქტომბერსა“, თერჯოლის ჩკალოვის და გოგანის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობებში დაიწყო საკოლმეურნეო ბანების შენებლობა, რაც მომდინარე წელს დამთავრდება.

რაიონის კოლმეურნეობებში მომდინარეობს აგრეთვე 500 ტონა ტევადობის ახალი სასილოსე კოშკების მშენებლობა, ხოლო 9 კოლმეურნეობაში აგებენ მინერალურ სასუქთა საწყობებს.

დახმარება მრავალშვილიან და მარგრესელი დედებს

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებამ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს დახმარების სახით მომდინარე წლის ივნვრიდან დღემდე მისცა 215.759 მანეთი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 8 მრავალშვილიან დედას მიენიჭა გმირი დედის სპატიო წოდება. 479 მრავალშვილიანი დედა დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის“ ორდენით და „დედობის მედლით“.

აგურის ქარხანა

ხობი. (საკ. კორ.). სოფელ ხამისქურის ბაკრაძის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა ინიციატივით აგეს აგურის ქარხანა.

ქარხანამ უკვე გამოუშვა კარგი ხარისხის აგურის პირველი პარტია 5.000 ცალის რაოდენობით. ქარხნის პროდუქცია მოხმარდება საკოლმეურნეო შენებლობებს.

ალექსანდრე გრიგოლის-ძე სტოლეტოვი

(დაბადების 110 წლისთავის გამო)

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საბუნებისმეტყველო მეცნიერების ასპარეზზე გამოვიდნენ დიდი რუსი მეცნიერები მენდელეევი, კოვალევსკი, მენნიკოვი, სეჩენოვი, სტოლეტოვი, ბუტლეროვი. მათ საბუნებისმეტყველო მეცნიერება ახალ საფეხურზე აიყვანეს. ამ დიდმა მოაზროვნეებმა ახალი გზები გაკვალეს და თავიანთი მეცნიერული ნაშრომებით მთელი ეპოქა შექმნეს.

ალექსანდრე გრიგოლის-ძე სტოლეტოვი მეცნიერთა ამ პლეადის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო.

ა. გ. სტოლეტოვი დაიბადა 1839 წლის 10 აგვისტოს. ჯერ კიდევ გიმნაზიაში აღაძრა მას ინტერესი ბუნებისმეტყველებისა და განსაკუთრებით ფიზიკის შესწავლისადმი. 1856 წელს ის შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, სადაც ისმენდა ცნობილი რუსი ფიზიკოსის ლიუბიმოვის ლექციებს. მისი გავლენით ჩაენერგა მას მეცნიერებისადმი სიყვარული.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ა. გ. სტოლეტოვი დატოვეს ფიზიკის კათედრასთან საპროფესოროდ მოსამზადებლად. იმხანად მოსკოვის უნივერსიტეტში ექსპერიმენტული ბაზა — ფიზიკის ლაბორატორია არ არსებობდა. ამიტომ 1862 წელს სტოლეტოვი კერძო სტიპენდიის სახსრებით საზღვარგარეთ მიემგზავრება დახელოვნების მიზნით, იქ ისმენს გამოჩენილი ფიზიკოსების კირჰოფის, ბუნზენის, ჰელმჰოლცის, ვიბერისა და სხვათა ლექციებს, მუშაობს მათს ლაბორატორიაში და აყალიბებს თავისი ღრმა ცოდნით, ორიგინალური მეცნიერული აზრებით.

1866 წელს ა. სტოლეტოვი ბრუნდება რუსეთში გარკვეული მეცნიერული გეგმეთი, რომელთა შორის ერთერთი უსინდისელოვანესი ადგილი ეკავა მოსკოვის უნივერსიტეტში ფიზიკის ლაბორატორიის მოწყობას.

რუსეთში დაბრუნებისთანავე დაიწყო ა. გ. სტოლეტოვის ფართო პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობა. მათემატიკური ფიზიკისა და ფიზიკური გეოგრაფიის კურსის კითხვასთან ერთდროულად ის ენერგიულად ამზადებს და იცავს სამაგისტრო დისერტაციას „ელექტროსტატიკის ზოგადი ამოცანა და მისი დაყვანა უმარტივეს შემთხვევამდე“. სტოლეტოვის მიერ დამუშავებული საკითხით დაინტერესებული იყვნენ დასავლეთ ევროპის მრავალი მათემატიკოსი და ფიზიკოსი. სტოლეტოვმა მეცნიერებას მრავალი რამ შესძინა. მან ელექტროსტატიკის ამოცანა დაიყვანა მეტად ზოგად პრობლემამდე, რომელიც დიდ ფიზიკურ და მათემატიკურ ინტერესს წარმოადგენდა.

1872 წელს სტოლეტოვი იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ობილი რკინის დამაგნიტების ფუნქციის გამოკვლევა“. ამ ნაშრომში სტოლეტოვი არკვევს რკინის მაგნიტური შემთვისებლობის დამოკიდებულებას დამაგნიტებელი ძალისაგან. მან ბრწყინვალედ დაამუშავა ამ პრობლემის ექსპერიმენტული მეთოდიკა და ზუსტი დისერტაციაში წამოაყენა და დაასაბუთა დამაგნიტებასთან დაკავშირებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი დებულებანი.

ამავე დროს ა. სტოლეტოვი ენერგიულად ეუშაობს უნივერსიტეტთან ფიზიკის ლაბორატორიის მოწყობაზე. მხოლოდ 1874 წელს შეძლო მან ამ ლაბორატორიის შექმნა, რომლის გარშემო შემოკრბნენ ახალგაზრდა მეცნიერები და პროფესორები — ზნელოვი, ნიხეულსონი, სოკოლოვი, შემდეგში ნ. ა. ლებედევი და სხვები. ამ ლაბორატორიაში ჩაატარა მან მთელი რიგი გამოკვლევები, რომლებმაც ა. სტოლეტოვს მთელ მსოფლიოში დიდი მეცნიერის სახელი მოუხვეშეს. აქ განსაზღვრა მან ე. წ. „მაქსველის სიდიდე“ C, რაც დაკავშირებული იყო მაქსველის თეორიის ერთ-ერთი მთავარი დებულების დამტკიცებასთან. სტოლეტოვმა დაამუშავა ელექტრობის რაოდენობის ელექტრომაგნიტური ერთეულისა და ელექტროსტატისტიკური ერთეულის ფარდობის განსაზღვრის უფრო ზუსტი ხერხი. თვითონ მაქსველი სტოლეტოვის მეთოდს C — სიდიდის განსაზღვრის ყველაზე სიმდეფო და ზუსტ მეთოდად თვლიდა.

ა. გ. სტოლეტოვის მეცნიერული მოღვაწეობის მეორეული წარმოადგენენ მისი გამოკვლევები ფოტოელექტრულ ანუ, როგორც სტოლეტოვი უწოდებდა, აქტინოელექტრული მოვლენების დარგში. საგულისხმოა, რომ ცხობილი ინგლისელი ფიზიკოსი ჯოზეფ თომსონი თავის გამოკვლევებს ფოტოელექტრული მოვლენების დარგში ა. სტოლეტოვის შრომის გადმოცემით იწყებს. თავისი ამ გამოკვლევებით სტოლეტოვმა პირველად დაადგინა ძირითადი ფაქტები და კანონზომიერებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო გაზებში ელექტრული ცალის თანამედროვე თეორიებს. ა. სტოლეტოვმა ააგო პირველი ფოტოელემენტი, ალმოაჩინა ე. წ. „ბაჯერების დენი“ გაზებში, დადგინა კანონი, რომელიც ნათელყოფს გაზებში ცალის მექანიზმს. ეს კანონი მეცნიერებაში „სტოლეტოვის კანონის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო მოგვიანე სიდიდეს, რომელიც ახასიათებს ცალს გაზებში, ეწოდება „სტოლეტოვის კონსტანტა“.

უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა სტოლეტოვი არა მარტო სამშობლოში, არამედ საზღვარგარეთაც. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ელექტრიკოსთა 1881 და 1889 წლების საერთაშორისო კონგრესებზე. 1889 წელს კონგრესზე ის ელექტრიკოსთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

ოჯიის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული შეხედულებებით ა. სტოლეტოვი მტკიცე მატერიალისტი იყო. ის მედგრად იბრძოდა ობსტაკლის ენერგეტიკისა და ფიზიკაში იდეალიზმის სხვა მოდურ მიმდინარეობათა შემოჭრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ის ხელოვნაკიდებული მიდიოდა თავის მეგობართან — მეორე დიდ რუს მეცნიერ კ. ა. ტიმირიაზევთან ერთად.

ა. სტოლეტოვი თავდადებით იბრძოდა ხალხში მეცნიერული ცოდნის გავრცელებისათვის. მან მრავალი საჯარო ლექცია წაიკითხა ფართო აუდიტორიისათვის. მეცნიერ-პოპულარიზატორის ამ მოღვაწეობის ძველს წარმოადგენს შესანიშნავი წიგნი „ა. გ. სტოლეტოვის საზოგადოებრივი ლექციები და სტატიები“.

ა. სტოლეტოვმა გამოზარდა მთელი რიგი შესანიშნავი რუსი მეცნიერები. მოსკოვის უნივერსიტეტთან მის მიერ მოწყობილი ფიზიკის წრიდან გამოვიდნენ გამოჩენილი ფიზიკოსი ნ. ა. უმოვი, „რუსეთის ავიაციის მამა“ ნ. ე. ჟუკოვსკი, ცნობილი ასტრონომი ფ. ა. ბრედიხინი და სხვ.

ა. სტოლეტოვი გარდაიცვალა 1896 წელს.

საბჭოთა ქვეყანა პატივს სცემს თავის სახელოვან შვილს, დიდ მეცნიერ ა. სტოლეტოვს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მშობლიური მეცნიერების განვითარებას შეალია.

ე. ფულაძე

ა. ნ. რადიშჩევის იმფიათი ნიგნების გამოფენა

სევასტოპოლი, 6 აგვისტო. (საკდესი). სახლეთა ბიბლიოთეკაში გაიხსნა ა. ნ. რადიშჩევისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია რეფოლუციონერი მწერლის თხზულებათა იშვიათი გამოცემები. მათ შორის არის წიგნი, რომლის თავფურცელზე დაბეჭდილია: „რადიშჩევი. განსეენებულ ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე რადიშჩევის დარჩენილ თხზულებათა ეროებელი. პირველი ნაწილი. მოსკოვი, 1807 წელი“. წიგნში მოთავსებულია „ბოვა, საგმირო მოთხრობა“ და სხვა ნაწარმოებნი.

არანაკლებ საინტერესოა მეორე წიგნი — „ადამიანის, მისი მოკეთეობისა და უკეთესობის შესახებ“, გამოცემული მოსკოვში 1809 წელს. აქ გამოთქმულია მწერლის შეხედულებები ბუნებაზე, ადამიანის წარმოშობაზე. ბიბლიოთეკის მნახველთა ყურადღებას იპყრობს აგრეთვე რადიშჩევის ცნობილი ნაწარმოები „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“, რომელიც 1868 წელს გამოიცა პეტერბურგში. იქვე სტენდზეა ა. ნ. რადიშჩევის თხზულებათა სრული კრებული, მისი პორტრეტები, მის თხზულებათა ილუსტრაციები.

გამოფენაზე დიდი ადგილი უჭირავს ლიტერატურას რადიშჩევის შესახებ.

არქეოლოგიაში პირველი გაუჩენის 35 წლისთავი

არხანგელსკი, 8 აგვისტო. (საკდესი). 1914 წლის რვა აგვისტოს რუსმა სამხედრო მფრინავმა ნაგურსკ

სახალხო-დემოკრატიული უნგრეთის კონსტიტუციის პროექტი

ბუდაპეშტი, 7 აგვისტო. (საკუთრივ). გაზეთებში გამოქვეყნდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის ტექსტი, რომელიც მოწონებულია უნგრეთის მინისტრთა საბჭოს მიერ და რომელიც განსახილველად წარედგინება პარლამენტს.

პრემიერ-მინისტრის მოადგილის მატიას რაკოშის ხელმძღვანელობით სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტი ემსახურება სოციალიზმის ბაზი მიკავალ სახალხო-დემოკრატიული უნგრეთის მიერ მოპოვებული შესანიშნავი შედეგების განმტკიცებას სამეს და ფასდადებული საჩუქარია უნგრეთის მშრომელი ხალხისათვის, რომელიც თავის ახალ, თავისუფალ, ბედნიერ სამშობლოს აშენებს.

უნგრეთის მშრომელთა პარტიამ, მას შემდეგ რაც უნგრეთში სახალხოდან დამყარდა სახალხო დემოკრატიული წყობილება, პირველად დააყენა საკითხი კონსტიტუციის შემუშავების შესახებ, რომელიც ასახავდა უნგრეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ სტრუქტურაში მოსახდარ ცვლილებებს, განამტკიცებდა უნგრეთის მშრომელთა ხალხის მიერ მიღწეულ შედეგებს, ხალხისთვის უზრუნველყოფდა ყველა დემოკრატიულ უფლებას. კონსტიტუციის პროექტი უზრუნველყოფს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო-დემოკრატიულ წყობილების შემდგომ განვითარებას, უზრუნველყოფს უნგრეთში სოციალიზმის შენებლობის განგრძობის შესაძლებლობას.

„უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ეს ძალებმა, — ნათქვამია კონსტიტუციის პროექტის შესავალ ნაწილში, — გერმანელ ფაშისტთა ულელისაგან, გაათავისუფლეს ჩვენი ქვეყანა, განაადგურეს მემამულეთა და კაპიტალისტთა ანტიხალხური სახელმწიფო ხელისუფლება, ჩვენს მშრომელ ხალხს დემოკრატიული განვითარების გზა გაუხსნეს. ბატონებისა და წარნადგელი წყობილების დამცველთა წინააღმდეგ მძიმე ბრძოლის შედეგად სათავეში ჩადგა ბა ხალისუფლებას, უნგრეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში, საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებით აღადგინა ომით გაჩანაგებული ქვეყანა. მრავალი თვეული წლის ბრძოლებში გამოწრთობილი უნგრეთის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, 1919 წლის სოციალისტური რევოლუციის გამოცდილებით გამდიდრებულმა ჩვენმა ხალხმა, საბჭოთა კავშირზე დაყრდნობით, დაიწყო სოციალიზმის საფუძვლების ჩაყრა, და ჩვენი ქვეყანა სახალხო დემოკრატიის გზით მიემართება წინ, სოციალიზმისაკენ“.

უნგრეთი, ნათქვამია კონსტიტუციის პროექტში, წარმოადგენს სახალხო რესპუბლიკას; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მუშათა და მშრომელ გლეხთა სამეცნიერო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მშრომელ ხალხს ეკუთვნის; ქალაქისა და სოფლის მშრომელები ხალხის მიერ არჩეულნი და მის წინაშე პასუხისმგებელნი დეპუტატების საშეალებით ახორციელებენ ხელისუფლებას.

„უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო იქცევს უნგრეთის მშრომელი ხალხის ხელისუფლებასა და თავისუფლებას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ებრძვის ადამიანის ექსპლოატაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ, საზოგადოების ძალებს რაზმავს სოციალიზმის მშენებლობისათვის. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ზორცეულდება მუშათა და მშრომელ გლეხთა მჭიდრო კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით“.

კონსტიტუციის პროექტი ამბობს, რომ „უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის წარმმართავი ძალაა ხალხის სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. მშრომელი ხალხი თანდათანობით ზღუდავს კაპიტალისტურ ელემენტებს და თანმიმდევრულად აშენებს მეურნეობის სოციალისტურ სისტემას“.

„უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური ცხოვრება, — ნათქვამია შემდეგ პროექტში, — განისაზღვრება სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმით. სახელმწიფო ხელისუფლება, ეყრდნობა და საზოგადოებრივ მფლობელობაში მყოფ საწარმოებს, სახელმწიფო სანაკნო სისტემასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, წარმართავს და კონტროლს უწევს სახალხო მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუუქობესებლის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის მუდმივი აღმაჯობინება და უნგრეთის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების ინტერესებისათვის“.

კონსტიტუციის პროექტში აგრეთვე ნათქვამია, რომ „უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა ცნობს და უზრუნველყოფს მშრომელ ლეგეონთა უფლებას მიწაზე და თავის მოკალთაგან მიაჩნია ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ განვითარებას სახელმწიფო მეურნეობათა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მოწყობის გზით, ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და ერთად მეშათაბის სიფუძველზე მოემეფდა ჩვენ ბოლოდ მიაჩნია ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ განვითარებას სახელმწიფო მეურნეობათა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მოწყობის გზით, ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და ერთად მეშათაბის სიფუძველზე მეურნეობა და ეროვნული ენაზე სწავლის შესაძლებლობას.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა იღებს ქორწინებასა და ოჯახს; განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობის განვითარებასა და აღზრდას, უზრუნველყოფს მოქალაქეთა სინდისის თავისუფლებას და რელიგიური წესების შესრულების თავისუფლებას. სინდისის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა, ნათქვამია კონსტიტუციის პროექტში, ეკლესიას გამოყოფს სახელმწიფოსაგან. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მშრომელთა ინტერესების შესაბამისად უზრუნველყოფს სიტყვის, პრესის, კრებებისა და კავშირების თავისუფლებას.

კონსტიტუციის პროექტი შემდგ თვალსაწინეს, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ამომრჩევლები სახელმწიფო კრების დეპუტატებს ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების წესით ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

ბულგარელი მუშები საბჭოთა ჩქაროსანი ხარატების გამოცდილებას იყენებენ

სოფია, 8 აგვისტო. (საკუთრივ). რუსეთის ვეორგი დიმიტროვის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა მალეკეთა და დეკოდესკის, რომლებმაც შეისწავლეს ლენინგრადის დაზგათმშენებელი ქარხნის ჩქარხანა ხარატის, სტალინური პრემიის ლაურეატ გ. მორტკევიჩის მუშაობის მეთოდი, ახსნაგანმარტებითი საუბრები მოაწყეს თავიანთი ქარხნის მუშებთან. მალე ქარხანაში ჩამოყალიბდა ორი ბრიგადა, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს ჩქაროსანელი მეთოდით და პირველ წარმატებას მიაღწიეს.

აბლა ი. ბ. სტალინის სახელობის და ვასილ ლენინის სახელობის საწარმოო ბრიგადების ხარატები მზოლოდ ამმოოოდ ჩქაროსანელი მეთოდით მუშაობენ.

სამეცნიო ჩქაროსანი ხარატების მიმდევარია რიტმი გიორგი დიმიტროვის სახელობის ქარხანაში ყოველდღიურად მატულობს.

ინგლისის გაზეთი ჩრდილოეთ აფლანგჩიკის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა შესახებ

ლონდონი, 8 აგვისტო. (საკუთრივ). გაზეთი „სანდი ექსპრესის“ სამხედრო მიმომხილველი აცხადებს, რომ, დაკვირვებულ მეთვალყურეობა ახრით, მონტგომერი დიდხანს ვერ გაძლებს დასავლეთის კავშირის სამხედრო ხელმძღვანელის პოსტზე. „ყველაზე სერიოზული შეჯახება, — ამბობს გაზეთი, — მას უზდება თავის მთავარ ხელქვეითთან სამხედრო დარგში—გენერალ დე ლატრ დე ტასილისთან. ამბობენ, რომ მონტგომერი დაინებებთ მოითხოვე მიღებულ იქნას დასავლეთის კავშირის ჯარების ერთიანი ბრძანებლობა. ამ ბრძოლაში ინგლისის ოფიციალური ადგილები ეკუთვნის ინგლისელ მარშალ ალექსანდრეს. ეს ბრძოლა, ეს ბრძოლა, ეს ბრძოლა,